

## ახალწვეულის ქცევის და უსაფრთხოების წესები

ლეგიონის საველე შეკრება არ არის გასართობი ღონისძიება, ამიტომ მონაწილეთა ქცევა რეგულირდება გარკვეული წესებით და მათი დარღვევა გამოიწვევს მთლიანად რაზმის, ან მისი ცალკეული წევრის დასჯას. ახალწვეულს ეკრძალება:

**ბრძანებაზე არდამორჩილება.** ახალწვეული ვალდებულია დაემორჩილოს მეთაურის ბრძანებას. ჩვენთან არ გაიცამა შეურაცხმყოფელი და უსაფრთხოების დამრღვევი ბრძანება, ან კომანდა.

**გინება და ბილწსიტყვაობა.** ასევე სასურველია თუ პირადი შემადგენლობა საუბარში მოერიდება ბარბარიზმებს და სლენგს.

**მორე რეკრუტის დაცინვა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.** ლეგიონში მეგობრული გარემოა და მსგავსი დარღვევები დაუყოვნებლივ აღიკვეთება.

**ხმის დისციპლინის დარღვევა.** იგულისხმება: ხმამაღალი საუბარი, რაციის არასწორი გამოყენება და ა.შ. ლეგიონერები ზედმეტი ხმაურის გარეშე გადაადგილდებიან და მოქმედებენ.

**პირადი სასწავლო იარაღის მიტოვება.**

**ნაგვის დაყრა**

**პოლიტიკაზე და რელიგიაზე საუბარი**

**გარეშე პირის მეთაურთან შეუთანხმებელი წამოყვანა**

**ყველა სახის სპორტიანი სასმელების წამოღება და მიღება**

**მაღლის და სხვა შინაური ცხოველების წამოყვანა**

**დანის და კანონით აკრძალული, ან ჯანმრთელობისთვის საშიში სხვა საგნების წამოღება**

**ფოტო-ვიდეო-აუდიო გადაღება.** ამ ჩანაწერებს მხოლოდ ლეგიონი აკეთებს.

**შეკრებაზე დაგვიანება.** ადგილზე უნდა იმყოფებოდეთ დათქმულ დროზე 5 წუთით ადრე.

**გაუმართლებელ რისკზე წასვლა.** მა.: ზიდან გადმოხტომა, კლდის პირას მისვლა და ა.შ.

## უსაფრთხოების ზოგადი წესები

ლეგიონში არ ხდება ახალწვეულის მარტო დატოვება და მასთვის რთული ამოცანების დასახვა, მაგრამ ინციდენტების თავიდან არიდების მიზნით რაზმის წევრი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი წესები:

- არ დაარღვიოთ მეთაურის კომანდა
- გაუფრთხილდით ლეგიონის, ან სხვების საკუთრებას (ღობე, ბაღი და ა.შ.)
- დროულად აცნობეთ მეთაურს ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების შესახებ
- არ დალიოთ წყალი შეუმოწმებელი წყაროდან
- არ ახვიდეთ ხეზე
- არ მიხვიდეთ კლდის პირას
- დაიცავით გზაზე გადაადგილების წესი
- არ შეაწუხოთ შინაური, ან გარეული ცხოველები
- ბოლომდე ჩააქრეთ კოცონი
- ჩაინიშნეთ მეთაურების მობილურების ნომრები
- ყურადღება მიაქციეთ ასაკით პატარა რეკრუტებს